# სახელმძღვანელო

# 2024

**მომგებიანობის, პროდუქტიულობის, კოლაბორაციისა და უსაფრთხოების ხელსაწყოები ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის**

**Since 2015**

# Macro სამყარო Micro-Soft-ებით

# Microsoft

Microsoft წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ტექნოლოგიურ კორპორაციას, რომელიც აერთიანებს პროდუქტების, სერვისებისა და მოწყობილობების სრულ ნაკრებს, ერთობლივად მუშაობისა და დროის ეფექტურად გამოყენებისთვის.

Microsoft-ის ინტეგრირებული ეკოსისტემა, შექმნილია ამოცანების გასამარტივებლად და პროდუქტიულობის გასაზრდელად, როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ისე სხვადასხვა ორგანიზაციისთვის.

მისი მთავარი ღირებულებაა ის, რომ ჩვეულებრივი საოფისე აპლიკაციების გარდა, Microsoft-ის ეკოსისტემა ქმნის უნიკალურ გარემოს ინფორმაციის შენახვა/გაზიარებისთვის, კოლაბორაციისთვის, პროექტების მართვისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისთვის.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

SYNTAX

# Teams

Microsoft Teams წარმოადგენს Microsoft 365-ის ერთ-ერთ მოქნილ ხელსაწყოს პროდუქტიულობის, კომუნიკაციის/კოლაბორაციის გაზრდისა და უსაფრთხო გარემოში მუშაობისთვის, რომელიც აერთიანებს ჩატს, ვიდეო შეხვედრებს, დოკუმენტების შენახვას, პროექტების მართვას და სხვა, მასში არსებული ფუნქციონალისა და დაინტეგრირებული აპლიკაციების მეშვეობით.

თიმსის საშუალებით, ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის, პროდუქტიულობას ქმნის:

- ერთ პლატფორმაზე არსებული სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი (დახურული; ღია; თემატური);
- მარტივად მოძიებადი და ორგანიზებული დოკუმენტები;
- ერთდროულად მუშაობა პროექტებსა და დოკუმენტებზე;
- სხვადასხვა აპლიკაციის გამოყენება/დამატება, როგორც ჯგუფში, ასევე არხშიც (მაგალითად, პროექტების მონიტორინგისთვის - Planner, დავალებების მართვისთვის - TO DO, ყოველდღიური სამუშაოსთვის - Word/Excel/PowerPoint და სხვა);
- Whiteboard-ის გამოყენება.

ასევე, თიმსის საშუალებით, ორგანიზაციებს გუნდურობის შესანარჩუნებლად შეუძლიათ:

- საერთო სივრცის გამოყენება, იმისათვის რომ წაახალისონ თანამშრომლები;
- გაცვალონ გუნდთან სიახლეები;
- აწარმოონ სახალისო გუნდური აქტივობები (Kahoot);
- ჩაატარონ გამოკითხვა (Poll; Forms).

უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, Teams მოდიფიცირებული აპლიკაციაა, რომელიც საშუალებას გაძლევთ გაცვალოთ/შეინახოთ დოკუმენტები და ჩაატაროთ შეხვედრები, ნებისმიერი ადგილიდან.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

Microsoft Teams

# Planner

Microsoft Planner წარმოადგენს Microsoft Office 365-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აპლიკაციას, სადაც შეძლებთ დააყენოთ ამოცანები, თვალყური ადევნოთ მათ პროგრესს, მართოთ დრო, ჩახედოთ საჭირო მოქმედებების დეტალებს და თვალყური ადევნოთ დავალებების შესრულების პროგრესს.

Planner-ის მთავარი უპირატესობაა Office 365 გარემოში ბუნებრივი ინტეგრაციის შესაძლებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამოყენება შეგიძლიათ ისეთ აპლიკაციებთან, როგორიცაა Outlook, Microsoft Teams და სხვა.

ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის პროდუქტიულობას ქმნის:

- განმეორებადი დავალებების შაბლონებში მოქცევა, რაც ზოგავს დროს ამოცანების დასაორგანიზებლად;
- Microsoft Planner-ის Outlook კალენდარში დამატება, რაც საშუალებას იძლევა მიიღოთ შეტყობინებები, ყველა დაგეგმილი შესასრულებელი ამოცანის შესახებ;
- სვეტების გამოყენება პროექტების სტატუსის ან დასახელებების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ მარტივად დაალაგოთ და ვიზუალურად გამოკვეთოთ პროექტების პროგრესი ან ცალკეული პროექტის სრული მიმდინარეობა;
- List, Board და Charts View, რომელიც გულისხმობს ყველა ამოცანის სრულ ხედვასა და ორგანიზებას, რაც თავის მხრივ მოიცავს, პროექტებისა და პრიორიტეტული ამოცანების შესრულების ეტაპებს.

Planner-ის საშუალებით, ორგანიზაციებს კოლაბორაციის გასამარტივებლად შეუძლიათ:

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

- დოკუმენტების ან ბმულების დავალებებზე მიმაგრება, რაც გუნდის თითოეულ წევრს საშუალებას მისცემს იხილოს დავალებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია;
- Chart view-ს საშუალებით, სხვადასხვა ხედვის გამოყენება სიტუაციის სწრაფი ანალიზისთვის.

რომ შევაჯამოთ, Planner-ის საშუალებით, ორგანიზაციებს შესაძლებლობა გაქვთ პროდუქტიული გზით, მარტივად დაუკავშირდეთ კოლეგებს, გაუზიაროთ მათ დავალებები და ერთად იმუშაოთ სხვადასხვა პროექტზე.

## OneDrive

Microsoft OneDrive წარმოადგენს Microsoft 365-ის ღრუბლოვან სერვისს/აპლიკაციას, რაც საშუალებას გაძლევთ ატვირთოთ, შეინახოთ და დაიცვათ დოკუმენტები დაკარგვისგან, ასევე, შეძლებთ გააზიაროთ დოკუმენტები სხვებთან და გქონდეთ მათზე წვდომა თქვენი ყველა მოწყობილობიდან.

ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის პროდუქტიულობას/კოლაბორაციას და უსაფრთხოებას ქმნის:

- ღრუბლოვან საცავში დოკუმენტების შენახვა, იმისათვის, რომ შემცირდეს მათი დაკარგვის რისკი;
- მოქნილი სტატუსები: Always keep on this device; დოკუმენტების მხოლოდ ღრუბლოვან საცავში შენახვა, რაც უზრუნველყოფს თქვენი მოწყობილობის მეხსიერების დაზოგვას (Free up space) და სხვა;
- დოკუმენტის ან მისი ბმულის გაზიარება, ნებისმიერ პლატფორმაზე, შეზღუდული ან შეუზღუდავი დროით, მათში ცვლილებების შეტანა და ერთდროულად მუშაობა კონკრეტულ დოკუმენტზე;

- ჩასწორებული დოკუმენტების ძველ ვერსიაზე დაბრუნება, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ცვლილება თქვენთვის არასასურველია (Version History);
- ღრუბლოვანი საცავი, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების უსაფრთხოდ შენახვას და იმართება თქვენი პოლიტიკის შესაბამისად, ასევე, შესაძლებლობას გაძლევთ ნახოთ/შეამოწმოთ დოკუმენტზე მუშაობის ისტორიაც;
- კონკრეტულ დოკუმენტებზე შესაბამისი წვდომების გაცემის შესაძლებლობა.

## Outlook

Microsoft Outlook წარმოადგენს Microsoft 365-ის ელექტრონული ფოსტის სერვისს/აპლიკაციას, რომელიც საშუალებას გაძლევთ მართოთ თქვენი ელ-ფოსტა, კალენდარი და საკონტაქტო ინფორმაცია ერთ სივრცეში.

ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის პროდუქტიულობას/კოლაბორაციას და უსაფრთხოებას ქმნის:

- აუთლუქის ერთიანი დაცული პლატფორმა, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ/გააგზავნოთ მეილები და მართოთ თქვენი ელ-ფოსტა სხვადასხვა მოწყობილობიდან, შესაბამისად იმუშაოთ თავისუფლად და ამავდროულად დაიცვათ კომპანიის მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- ინფორმაციის ორგანიზების ინსტრუმენტები, რაც უამრავ ინფორმაციაში მარტივად ნავიგაციის და მუშაობის საშუალებას მოგცემთ, მათ შორის მეილების დაპინვის, მონიშნული მეილების ავტომატურად To Do ლისტში ჩაგდებისა და კატეგორიებისთვის ფერის მინიჭების შესაძლებლობები;
- კალენდრის მართვის შესაძლებლობა, რაც ყველა ჩვეულებრივ ფუნქციონალთან ერთად გთავაზობს Book with me ფუნქციას, შეხვედრების თავისუფალი დროების გაზიარების შესაძლებლობით,

სადაც მისაღები მონიშნული დრო ავტომატურად დააგენერირებს შეხვედრას;
- ავტომატიზაციის შესაძლებლობები, რომელიც საშუალებას მოგცემთ მოამზადოთ მეილი წინასწარ და მიუთითოთ გაგზავნის დრო.

# Forms

Microsoft Forms წარმოადგენს Microsoft 365-ის ფორმების შექმნის სერვისს/აპლიკაციას, რომელიც საშუალებას გაძლევთ შექმნათ გამოკითხვები, ტესტები და სხვა ფორმები მარტივად და სწრაფად.

ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის პროდუქტიულობას/კოლაბორაციას ქმნის:

- ინფორმაციის ორგანიზების ინსტრუმენტები, რაც საშუალებას მოგცემთ მარტივად დააგენერიროთ და გაანალიზოთ მიღებული პასუხები, გამოიყენოთ ავტომატური რეპორტების გენერაცია და მონაცემების ვიზუალიზაცია;
- ფორმების შექმნის მოქნილი შესაძლებლობები, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი კითხვების ტიპების (მაგალითად: ტექსტური, არჩევითი, და სხვა) გამოყენებას და ფორმების დიზაინის პერსონალიზაციას;კალაბორაციის ფუნქციები, რომლებიც საშუალებას მოგცემთ იმუშაოთ გუნდთან ერთად ფორმებზე, გააზიაროთ ისინი კოლეგებთან და მიიღოთ მათი პასუხები რეალურ დროში;
- ავტომატიზაციის შესაძლებლობები Power automate-ის საშუალებით, რომელიც საშუალებას მოგცემთ წინასწარ დაგეგმოთ ფორმების გამოგზავნა, მიუთითოთ გაგზავნის დრო და მიიღოთ ავტომატური შეტყობინებები ახალი პასუხების მიღების შემთხვევაში.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

MICROSOFT FORMS

# SharePoint

Microsoft SharePoint წარმოადგენს Microsoft 365-ის დოკუმენტებისა და თანამშრომლობის ერთიან სივრცეს, რომელიც საშუალებას გაძლევთ შექმნათ, მართოთ და გააზიაროთ ინფორმაცია და დოკუმენტები ერთ სივრცეში, ასევე, დამატებით იქონიოთ თემატური საიტები გუნდური კომუნიკაციისთვის.

ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის პროდუქტიულობას, კოლაბორაციას და უსაფრთხოებას ქმნის:

- SharePoint-ის ერთიანი დაცული პლატფორმა, სადაც შეგიძლიათ ატვირთოთ, შეინახოთ და მართოთ დოკუმენტები სხვადასხვა მოწყობილობიდან, შესაბამისად იმუშაოთ თავისუფლად და ამავდროულად დაიცვათ კომპანიის მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- ინფორმაციის ორგანიზების ინსტრუმენტები, რაც უამრავ ინფორმაციაში მარტივად ნავიგაციის და მუშაობის საშუალებას მოგცემთ, მათ შორის დოკუმენტების კატეგორიზაციისა და ძიების შესაძლებლობები;
- გუნდური მუშაობის შესაძლებლობები, რაც გულისხმობს ერთობლივ მუშაობას დოკუმენტებზე რეალურ დროში, კომენტარების და რედაქტირების მეშვეობით;
- საკომუნიკაციო სივრცის მეშვეობით, შეძლებთ შექმნათ სოციალური სივრცის მსგავსი ადგილი, სადაც შესაძლებლობა გექნებათ თანამშომლებს გაუზიაროთ კომპანიის სიახლეები, დადოთ კომპანიასთან დაკავშირებული ტვიტერის ან იუთუბის კონკრეტული გვერდები, დადოთ გამოკითხვები და თანამშრომლებს გაუზიაროთ კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

# Copilot

Microsoft Copilot წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოს, რომელიც ინტეგრირებულია Microsoft 365-ის ყველა პროდუქტთან და ორიენტირებულია მომხმარებელთა პროდუქტიულობის გაზრდასა და სამუშაო პროცესების გაუმჯობესება/გამარტივებაზე.

## ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის პროდუქტიულობას და კოლაბორაციას ქმნის:

- Copilot-ის ინტეგრაცია Microsoft 365-ის პლატფორმასთან, რაც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ AI-ს მხარდაჭერა სხვადასხვა აპლიკაციაში, როგორიცაა Word, Excel, PowerPoint, Outlook და OneNote, შესაბამისად, შეძლებთ იმუშაოთ უფრო სწრაფად და ეფექტურად;
- მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობები, რაც საშუალებას მოგცემთ მარტივად მიიღოთ ღირებული ინფორმაცია დიდი მონაცემთა ბაზიდან (მაგალითად კონკრეტული კითხვის დასმით შეგიძლიათ ექსელში არსებული მონაცემების ანალიზი, მათ შორის ტრენდების დაიდენტიფიცირება, "What if" სცენარის დაგენერირება);
- დოკუმენტების შექმნისა და რედაქტირების ინსტრუმენტები, რომლებიც საშუალებას გაძლევთ ავტომატურად შექმნათ და გააუმჯობესოთ სხვადასხვა დოკუმენტები, პრეზენტაციები და ა.შ;
- მეილების მართვის შესაძლებლობები, რაც საშუალებას მოგცემთ დააგენერიროთ Outlook-ში ახალი მეილის დრაფტი და მოახდინოთ მეილების ჯაჭვის მოკლე შინაარსის გენერირება, რაც შესაბამისად დაგეხმარებათ დროის ეფექტურად მართვაში;
- მეილში დადრაფტული ტექსტის ფორმატირება ქოუჩინგის ფუნქციით, რაც ასევე მნიშვნელოვნად დაგიზოგავთ დროს;
- Copilot-ისა და Teams-ის კოლაბორაციით გაზრდილი პროდუქტიულობა - შეძლებთ მიიღოთ გამოტოვებულ შეხვედრებთან დაკავშირებული განხილული საკითხების შესახებ მოკლე რეზიუმე.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

# MS Access

Microsoft Access წარმოადგენს Microsoft-ის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემას, რომელიც დაგეხმარებათ შეინახოთ, მართოთ და გააანალიზოთ მონაცემები. აპლიკაცია განსაკუთრებით დააინტერესებთ მათ, ვისაც ხშირად უწევს მცირე და საშუალო ზომის პროექტებთან მუშაობა, რომლებიც თავის მხრივ საჭიროებენ მონაცემთა სტრუქტურირებულ მართვას.

ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის პროდუქტიულობას და კოლაბორაციას ქმნის:

- მონაცემთა მარტივი მენეჯმენტი ერთ სივრცეში, რომელიც დაგეხმარებათ შეინახოთ და დაარგანიზოთ დიდი რაოდენობით ინფორმაცია, როგორებიცაა კონტაქტები, ინვენტარი ან ფინანსური ჩანაწერები და შეძლოთ მათი მარტივად მოძიება;
- მოქნილი კონფიგურაცია, რისი საშუალებითაც თქვენ შეძლებთ შექმნათ თქვენს კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული ფორმები, მოთხოვნები და ანგარიშები, რაც გაგიადვილებთ მონაცემების შეყვანას და სწრაფად მოძიებას;
- ავტომატიზაცია, რომელიც საშუალებას გაძლევთ მოახდინოთ განმეორებადი ამოცანების ავტომატიზირება, როგორიცაა ანგარიშების გენერირება ან შეხსენებების გაგზავნა, შედეგად, თქვენ შეძლებთ ფოკუსირება მოახდინოთ სტრატეგიულ ამოცანებზე და არა რუტინულ საქმიანობაზე;
- კოლაბორაცია ერთ სივრცეში, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ ერთდროულად იმუშაონ ერთსა და იმავე მონაცემთა ბაზაზე, რაც გუნდებს გაუადვილებს ინფორმაციის გაზიარებას და ერთ კონკრეტულ დოკუმენტზე ერთდროულად მუშაობას;
- ინტეგრაციის შესაძლებლობა, რომელიც კარგად მუშაობს Microsoft Office-ის სხვა ინსტრუმენტებთან, როგორიცაა Excel და Word, რაც გულისხმობს იმას, რომ თქვენ შეძლებთ მარტივად დააიმპორტოთ და დააექსპორტოთ მონაცემები, შესაბამისად დაზოგოთ დრო.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

# Power BI

Microsoft Power BI წარმოადგენს Microsoft-ის მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ბიზნეს ანალიტიკის სერვისს/აპლიკაციას, რომელიც საშუალებას გაძლევთ დააკავშიროთ, გააანალიზოთ და წარმოადგინოთ მონაცემები მარტივად და ეფექტურად.

აპლიკაცია განსაკუთრებით დააინტერესებთ მათ, ვისაც სურს მონაცემების სწრაფი და სიღრმისეული ანალიზი, მათი ვიზუალურ ფორმატში წარმოდგენა და ასევე ბიზნეს პროცესების გაუმჯობესება.

ორგანიზაციისთვისა და ინდივიდუალური მომხმარებლისთვის პროდუქტიულობას და კოლაბორაციას ქმნის:

- მონაცემების ვიზუალიზაცია და ანალიზი ერთ სივრცეში, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოადგინოთ და გააანალიზოთ მონაცემები ისე, რომ ადვილად დააიდენტიფიციროთ ტენდენციები და ანომალიები, რაც თავის მხრივ ბიზნესს დაეხმარება მიიღოს გადაწყვეტილებები ზუსტ და უახლეს ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- მონაცემთა კონსოლიდაცია და ინტეგრირება სხვადასხვა ბაზებიდან, ცხრილებიდან, ღრუბლოვანი სერვისებიდან და ა.შ, რაც საშუალებას გაძლევთ გქონდეთ თქვენი ოპერაციული საქმიანობის ერთიანი ხედვა;
- რეალურ დროში ძირითადი მეტრიკისა და KPI-ების მონიტორინგის შესაძლებლობა, რაც განსაკუთრებით საჭიროა ისეთი ინდუსტრიებისთვის, როგორებიცაა ფინანსები, საცალო ვაჭრობა და წარმოება, სადაც აუცილებელია სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება;
- Power BI-ს გაზიარებისა და თანამშრომლობის ფუნქციები, რომელიც აადვილებს ორანიზაციაში კოლეგებთან, მომხმარებლებთან და პარტნიორებთან მუშაობას;
- მონაცემთა მოდელირების შესაძლებლობები, რაც საშუალებას იძლევა სწორად გაწეროთ ორგანიზაციის ბიზნეს პროცესები, აღმოაჩინოთ პროცესში არსებული შეფერხებები, არაეფექტურობა და დააიდენტიფიციროთ გასაუმჯობესებელი ადგილები.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

Power BI

# ბიზნესის პასუხი დინამიურ გარემოს

SYNTAX

# Dynamics 365

ბიზნესის დინამიური ბუნების გათვალისწინებით, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება აპლიკაციების დანერგვა, რომლებიც ცვალებად ტენდენციებთან მარტივად ადაპტირდებიან. ამ სცენარით, Microsoft-მა წარმოადგინა ბიზნეს აპლიკაციების ოჯახი - Dynamics 365, რომელიც მოიცავს ათზე მეტ აპლიკაციას/ედონს, რომლებიც თავის მხრივ აერთიანებს ERP და CRM სისტემებს.

Dynamics 365 უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს სხვადასხვა გუნდებისთვის, როგორებიცაა მარკეტინგი, გაყიდვები, ფინანსები, ოპერაციები და სხვა. ის ორიენტირებულია, როგორც მომხმარებლებთან ურთიერთობის, ისე ორგანიზაციის შიდა პროცესების ეფექტურ დაგეგმვასა და მართვაზე, საჭიროებების აღმოჩენასა და დროულად პასუხზე.

## როგორ ახერხებს ამას Dynamics 365?

პროგრამული უზრუნველყოფების - ERP-ისა (საწარმოთა რესურსების დაგეგმვა) და CRM-ის (მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი) ინსტრუმენტების ერთობლიობით, რომელსაც დამატებით აძლიერებს AI-ს ინსტრუმენტი - Microsoft Dynamics 365 Copilot.

Microsoft Dynamics 365

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

Microsoft Dynamics 365

# CRM სისტემა Dynamics 365-ში

Dynamics 365 გთავაზობთ CRM (მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი) აპლიკაციების კომპლექტს, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია კომპანიისა და არსებული/პოტენციური მომხმარებლის ურთიერთობასთან. ის ეხმარება კომპანიებს გაამარტივონ პროცესები და გახადონ ბიზნესი უფრო მომგებიანი.

ორგანიზაციისთვის მომგებიანობას, პროდუქტიულობას, კოლაბორაციასა და უსაფრთხოებას ქმნის:

- Dynamics 365 Sales, რომელიც ფოკუსირებულია გაყიდვების პროცესებზე, მათ შორის ლიდების გენერირებაზე, შესაძლებლობების მენეჯმენტსა და ექაუნთების მართვაზე;
- Dynamics 365 Marketing, რომელიც უზრუნველყოფს მარკეტინგული პროცესების ავტომატიზაციას, ლიდებზე ზრუნვას და სხვადასხვა კამპანიის მართვას;
- Dynamics 365 Customer Service, რომელიც გთავაზობთ მომხმარებელთა მხარდაჭერის, ინციდენტების გადაჭრისა და ცოდნის ბაზის მართვისთვისთვის საჭირო ინსტრუმენტებს;
- Dynamics 365 Field Service, რომელიც მართავს საველე მომსახურების ოპერაციებს, მათ შორის დაგეგმვას, დისპეტჩერიზაციას და მოძრავი სამუშაო ძალის მართვას;
- Dynamics 365 Project Operations, რომელიც მართავს პროექტზე დაფუძნებულ ბიზნესს, მათ შორის ბილინგის, რესურსების განაწილებისა და პროექტის მომგებიანობის ნაწილს;
- Dynamics 365-ში CRM-ის ბენეფიტები, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა გაუმჯობესებულ თანმიმდევრულობას, რაც გულისხმობს იმას, რომ მომხმარებლთა კომუნიკაციის ყველა ინფორმაცია ინახება ერთ მონაცემთა ბაზაში. ის გამორიცხავს მონაცემთა ერთ დეპარტამენტში ჩაკეტვის საშიშროებას და უზრუნველყოფს სიზუსტესა და გაძლიერებულ თანამშრომლობას. გუნდებს აქვთ შესაძლებლობა გაცვალონ ინფორმაცია და გაუზიარონ შეხედულებები ორგანიზაციის

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

Microsoft Dynamics 365

შიგნით, ასევე ჰქონდეთ მომხმარებელთან დაკავშირებული ქმედებების ერთიანი ხედვა, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას მომხმარებელს გაუწიოს უფრო პერსონალიზებული და ეფექტური მომსახურება.

საერთო ჯამში, CRM სისტემა Dynamics 365-ში წარმოადგენს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვისა და ბიზნესის ზრდისთვის საჭირო მძლავრ ინსტრუმენტს.

## ERP სისტემა Dynamics 365-ში

Dynamics 365 გთავაზობთ ERP (საწარმოთა რესურსების დაგეგმვა) აპლიკაციების კომპლექტს, რომლებიც განკუთვნილია კონკრეტული ბიზნეს ფუნქციებისთვის. ERP მოიცავს ყველაფერს, რასაც შეიძლება ეწოდოს „კომპანიის შიდა მენეჯმენტი“, მაგალითად, პროდუქტის მონაცემთა ბაზა (ფასები, მახასიათებლები და ა.შ), გადასახადების კონფიგურაცია, მიწოდების პირობები, გადახდის მეთოდების მართვა, ფინანსური და იურიდიული აღრიცხვა/წარმოება, პროდუქციის წარმოება, წარმოების პროცესების მართვა და ა.შ

ორგანიზაციისთვის მომგებიანობას, პროდუქტიულობას და კოლაბორაციას ქმნის:

- Dynamics 365 Finance, რომელიც ახორციელებს ფინანსური მენეჯმენტის ამოცანებს, როგორიცაა მთავარი ბუღალტრული წიგნისა და ფინანსური ჩანაწერების მონიტორინგი, დებიტორული დავალიანების მონიტორინგი, გადასახდელი ანგარიშებისა და ფულადი ნაკადების მართვა, ფინანსური ფორკასტები, აქტივების მონიტორინგი/მართვა და სხვა;
- Dynamics 365 Supply Chain Management, რომელიც მხარს უჭერს მიწოდების ჯაჭვის ოპერაციებს, მათ შორის ინვენტარის მართვას, შესყიდვებს, წარმოების დაგეგმვას და განაწილებას;

- Dynamics 365 Commerce, რომელიც საშუალებას აძლევს საცალო და ელექტრონული კომერციით დაკავებულ ბიზნესს მართონ პროდუქტების კატალოგი, შეასრულონ შეკვეთები და სხვა;
- Dynamics 365 Project Operations, რომელიც მართავს პროექტზე დაფუძნებულ ბიზნესს, მათ შორის ბილინგის, რესურსების განაწილებას და პროექტის მომგებიანობას;
- Dynamics 365-ში ERP-ის ბენეფიტები, რომელიც გთავაზობთ ერთიან პლატფორმას სხვადასხვა სპეციალიზებული აპლიკაციებით. ეს მიდგომა ბიზნესს აძლევს საშუალებას, მასშტაბურობის მიუხედავად იყოს მოქნილი, პროდუქტიული, ჰქონდეს რეალურ დროში მონაცემებზე წვდომა, გაძლიერებული ხილვადობა და კონტროლი, გაზარდოს მომხმარებელთა კმაყოფილება, შეამციროს ხარჯები და გააუმჯობესონ პროცესების ავტომატიზაცია გამარტივებული მიწოდების ჯაჭვიდან გამომდინარე.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ
ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ

**E-mail: sales@syntax.ge**
**Phone: (032) 2 88 00 99**
**WWW.SYNTAX.GE**